წელიწადი პირველი

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 97 — ხუთშაბათი, 21 ნოემბერი, 1918 წ. — № 97

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ სოფ. ნატახტართან ვერაგულად მოჰკლეს უმაღლეს ადამიანურ და მოქალაქეობრივ მოვალეობათა აღსრულების დროს ამავე უნივერსიტეტის სტუდენტი

**გრიგოლ (ციციკო) ჭუმბურიძე.**

1—1 1061

## სახელმწიფო თეატრი

**პარასკევს, 22 გიორგობისთვეს**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ

**შეცვლილი ანსამბლით**

## სარწმუნოება

2—1 9017 **ბილეთები იყიდება მხოლოდ თეატრში.**

ადმინისტრატორი მიხ. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე. რეჟისორი გ. ჯ ა ბ ა დ ა რ ი.

## ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს სამსახურში განყოფილებათა გამგეებათ: ინჟინერს, აგრონომს, ბუხგალტერს და სტატისტიკოსს. უპირატესობა მიეცემათ: ინჟინერთა შორის იმას, ვისაც ექნება შესაფერი გამოცდილება საგზო და საამშენებლო ნაწილში (ეროვნებას არ აქვს მნიშვნელობა); აგრონომთა შორის—უმაღლეს კურს დამთავრებულს ადგილობრივი მეურნეობის მცოდნეს და შესაფერი პრაქტიკის მქონეს; ბუხგალტერთა და სტატისტიკოსთა შორის—პრაქტიკულად მომზადებულ პირებს, რომელთაც ექნებათ შესაფერი სწავლა და გამოცდილება. თხოვნების მისამართი: ოზურგეთი, სამაზრო ერობის გამგეობას. თხოვნებში უნდა იქმნას აღნიშნული ჯამაგირის მინიმუმი და მთხოვნელთა „curiculum vitte“. 963 3—3

## ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვინც კი სურვილი გამოაცხადა საზოგადოების წევრობაზე და ხელი მოაწერა აქციების შეძენის ქაღალდზე, მობრძანდნენ საზოგადოების წევრთა პირველს საერთო კრებაზე, რომელიც დანიშნულია 15 დეკემბერს (ახალი სტილით) მიმდინარე 1918 წელს ქალ. ჭიათურაში (ქუთ. გუბ.) დილის ათ საათზე საზოგადო საკრებულოს დარბაზში.

**განსახილველია კითხვები**

1. დამაარსებელთა ანგარიში და მათი მოქმედების გადაშინჯვა.
2. აქციების განაწილება და ამ განაწილების საფუძვლები (§ 13 წესდებისა).
3. შემუშავება და დამტკიცება იმ პირობებისა და წესისა, რომელზედაც დამყარებული იქნება მამულის საზოგადოებაზე გადაცემა და განხილვა სხვა მამულების გადაცემასთან შეკავშირებულ კითხვებისა (§ 2 წესდებისა).
4. წარმოებისათვის საჭირო თანხის შოვნა და სხვა კითხვები, რომელიც საზოგადოების მოქმედების დაწყებასთან და წარმოების ექსპლოატაციასთან დაკავშირებულია.
5. გამგეობის და სარევიზიო წევრების არჩევნები.
6. საზოგადოების ხარჯთ-აღრიცხვა.

1016. 3 – 2

## კონსტანტინე თარხანის ძე სიამაშვილის მემკვიდრე გიორგი კონსტანტინეს ძე სიამაშვილი აცხადებს

მამა მისის მევალეებს საყურადღებოთ, თუ კი ასეთი მას ჰყოლია, რომ გამოცხადდენ სამი თვის განმავლობაში დღიდან განცხადებისა. 1046 3 – 3

## სახელმწიფო თეატრი

ო პ ე რ ა.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს, 21 ნ ო ე მ ბ ე რ ს

საბანეევას, ალეშკოს, კანშინის, ნიკოლსკის და ისეცკის მონაწილეობით

## ჰ უ გ ე ნ ო ტ ე ბ ი

ოპერა 4 მოქმედებად. მუსიკა მეერბერისა. ფასები საგრძნობლად დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ ს. შაბათს, 23 ნოემბერს ტ. ი. საბანეევას, ბ. ზალიპსკის, ფ. პალიაევის მონაწილეობით „ტრავიატა“. კვირას, 24 ნოემბერს, მ. ი. ალეშკოს, კანშინის და ორდას მონაწილეობით „ტოსკა“ და ბალეტი.

1021 1—1 ოპერის წარმომადგენელი ს. ი. ე ვ ლ ა ხ ო ვ ი.

## განცხადება გენ.-გუბერნატორისა საქართველოს რესპუბ. ყველა რკინის გზაზე.

(გამოცემულია გუბერნიათა საერთო დაწესებულებათა მე-23 მუხლის დამატების მე-19-ე მუხლის მე-7 პუნქტის ძალით).

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ დღეიდან ყველა ქვემო აღნიშნული ბოროტ-მოქმედება, რომელიც ჩადენილი იქნება რკინის გზისა და ფოთის ნავთსადგურის მიდამოებში, გადაეცემა გადასაწყვეტად სამხედრო სასამართლოს, რომელსაც უფლება აქვს დამნაშავენი სასჯელთა სამხედრო წესდების მე-279 მუხლის ძალით დასაჯოს.

გამოიყოფა საზოგადო ქვემდებარებისაგან და სამხედრო სასამართლოს დაექვემდებარება ბოროტ-მოქმედებანი, რომელნიც აღნიშნულია სისხლის სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების შემდეგ მუხლებში:

მუხ. 922 და 931—ბოროტ-მომქმედთა ბრბოს შედგენა და ავაზაკთა მეთაურობა.
მუხლები 1449—1471—მკვლელობა.
მუხლები 1626—1643—ყაჩაღობა და ცარცვა-გლეჯა.

გენერალ-გუბერნატორი გენერალ-მაიორი ყ ა რ ა ლ ა შ ვ ი ლ ი.

1—1 1020 კანცელარიის მმართველი ბ. ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე.

## ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონით (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 58—5 ოქტომბრის 1918 წ.) განსაზღვრული გურიის სამომრიგებლო ოლქისათვის საჭირო მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა მოხდება ოზურგეთის სამაზრო საერობო კრების მიერ პირველ მორიგ ყრილობაზე. ვისაც სურს კენჭი იყაროს აღნიშნულ თანამდებობაზე შეუძლიათ თავიანთი განცხადება გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: „ოზურგეთი, სამაზრო საერობო გამგეობას“, არა უგვიანეს ამა ნოემბრის 25-სა.

3—964—3 **ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა.**

## სენაკის სამაზრო გამგეობა

**იწვევს ორ ექიმს აბაშაში და ნოქალაქევში**

სამუშაოთ. პირობები: ჯამაგირი თვეში 1000 მან., ბინა და სამგზავრო ხარჯები. მსურველთ ვსთხოვთ განცხადებანი გამოგზავნონ სამაზრო საერობო გამგეობის სახელზე ქ. ახალ-სენაკში, curiculum vitae-ს და წინანდელი სამსახურის რეფერენციების დამატებით.

1054 7—1 **სენაკის სამაზრო გამგეობა,**

## თელავის მაზრის ერობის გამგეობა

**აცხადებს, რომ მაზრაში ასარჩევია 4 საუბნო მომრიგებელი მოსამართლე.**

იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ წამოაყენონ თავიანთი კანდიდატები, განცხადება უნდა შემოიტანონ 10 დეკემბრამდე თელავის მაზრის ერობის გამგეობაში.

1051 2—2

**მედიცინის დოქტორი**

ბერლინის უნივერსიტეტისა

## გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 18—5.

## ექიმი ი. კ. აბაკელია

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ ჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოფიციალური განყოფილება

# განკარგულებანი

**საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრისა.**

17 ნოემბერი, 1918 წ.

№ 49.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: ინჟენერი გიორგი ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი სარკინისგზო განყოფილების უფროსათ გზათა სამინისტროში 17 ნოემბრიდან 1918 წლიდან, ჯამაგირით 10.800 მანეთი წელიწადში.

გზათა მინისტრი ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

**ტფილისის ქ. მილიციისა.**

4 ნოემბერი, 1918 წ.

№ 288.

§ 1.

ივანე სიმონის ძე წივწივაძე დაინიშნა ჩემდამი რწმუნებული მმართველობის კანცელარიის საქმეთა გამგეთ.

§ 2.

ჩემდამი რწმუნებული მმართველობის მოსამსახურე ბენაევი, ავადმყოფობის შემდეგ შეუდგა თანამდებობის ასრულებას 3 ნოემბერს.

§ 3.

სამსახურიდან დათხოვნილი არიან უმცროსი მილიციონერები; მე-8 უბ. მიხეილ ქუთათელაძე, მე-9 უბ. ალხაზოვი, ამა წლის ნოემბრის 2-დან.

§ 4.

პავლე კუხალეიშვილი ინიშნება მე-9 უბ. უმცროს მილიციონერად.

§ 5.

მე-9 უბ. უმცროსი მილიციონერი ვართან გიულზადოვი გადაყვანილია იმავე თანამდებობაზე მე-8 უბ.

§ 6.

მე-9 უბ. უმცროსი მილიციონერი მაგდალასოვი გადაყვანილია იმავე თანამდებობაზე მე-4 უბანში.

§ 7.

მე-7 უბ. უმცროსი მილიციონერი ლავრენტი პერტაია გადაყვანილია იმავე თანამდებობაზე მე-3 უბანში.

§ 8.

დათხოვნილია სამსახურიდან 1 უბ. მოსამსახურე ქარამიძე და მის ადგილზე დანიშნულია ნინო საყვარელიძე ამავე რიცხვიდან.

§ 9.

მე-7 უბ. უმცროსი მილიციონერი არმენაკ ავაკიანი დროებით დაშვებულია უფროს მილიციონერის თანამდებობის ამსრულებლად ამ რიცხვიდან.

§ 10.

სისხლის სამართლის მილიციის უმცროს მილიციონერებათ ინიშნებიან ილია მაჩიტძე, გიორგი ივანეს ძე ცანავა და ბაგრატ კაჭარავა ამ რიცხვიდან.

§ 11.

უმცროს მილიციონერებათ ინიშნებიან: მე-3 უბ. სილოვან ვასილის ძე ბარამიძე, მე-6 უბ. გიორგი სოლომონის ძე რევაზაშვილი და მე-9 უბ. ილია იაგორის ძე კაპანაძე.

§ 12.

სამსახურიდან დროებით ვანთავისუფლებ უმცროს მილიციონერებს: მე-3 უბ. ოვანეს არუტიუნიანს ორი კვირით, მე-5 უბ. ნასრედინ გაჯი საფარ-ოღლი ეფენდიევს 10 დღით და მე-9 უბ. ბეგლარ ნიკოლაიშვილს ხუთი დღით.

§ 13.

მე 5 უბ. უმცროსი მილიციონერი ისაკ გუგუნაშვილი შეუდგა თანამდებობის ასრულებას 1 ნოემბ.

§ 14.

თხოვნის თანახმად, სამსახურიდან დათხოვნილია 1 უბ. უმცროსი მილიციონერი ალექსი ხლიუსტოვი.

მილიციის უფროსი ა. ურუშაძე.

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში.

**თათბირი**

19 ნოემბერს მოხდა ბჭობა, რომელსაც დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნოე ჟორდანია, გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. ევგენი გეგეჭკორი, ბ. ირ. წერეთელი და სტამბოლიდან ჩამოსული სომეხთა სამშვიდობო დელეგაცია და დიპლომატიური წარმომადგენელი ბ. ჯამალიანი. განხილულ იქმნა კავკასიის ერთა კონფერენციის მოწვევისა და სხვა საკითხები. თათბირმა იმედი გამოსთქვა, რომ სომეხ—ქართველთა ყველა გაუგებრობა და სადაო საკითხები კონფერენციაზე მშვიდობიანად გადასწყდებაო.

**მწუხარების გამოთქმა**

მთავრობის თავმჯდომარემ ბ. ნ. ჟორდანიამ სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს კაჩაზნუნს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „დღეს გავიგე სომხის მოღვაწის, მინისტრის, ქრისტეფორე ივანეს ძე კარჩიკიანის ტრაგიკული გარდაცვალება. აღშფოთებული ამ ვერაგულ აქტის გამო, როგორც ჩემი, აგრეთვე საქართველოს მთავრობის სახელით სომხეთის მთავრობისა და სრულიად სომხის ხალხის წინაშე გამოვსთქვამ მწუხარებასა და გულწრფელ თანაგრძნობას.“ პასუხად მიიღო: „ერევანი, 19 ნოემბერი. „ჩემი მთავრობის სახელით და აგრეთვე პირადათ ჩემგან, მადლობას გიძღვნით თქვენ და საქართველოს მთავრობას იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც თქვენ გამოხატეთ მინისტრ კარჩიკიანის ტრაგიკულათ გარდაცვალების გამო.“ მინისტრი თავმჯდომარე კაჩაზნუნი.

# საგარეო საქმეთა სამინისტროში.

**კონფერენცია**

სომეხთა წარმომადგენელმა ჯამალიანმა გარეშე საქმეთა მინისტრს აუწყა, რომ კავკასიის ერთა კონფერენციის საკითხი სასწრაფოთ შეტანილია სომხეთის პარლამენტში და საბოლოო გადაწყვეტილებას ამ დღეებში ჩამოსული საგანგებო შიკრიკი ჩამოიტანსო.

**ს ო მ ხ ე ბ ი.**

სომეხთა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჯამალიანმა თხოვნით მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ნება მიეცეთ სანაინში დაკავებულ სომხებს რიცხვით 250 კაცს ტფილისში წამოსვლისა, რადგან ისინი საქართველოსაკენ, რომ მოდიოდენ მაშინ მთავრობას შემუშავებული არ ჰქონდა სახელმწიფოში შემოსვლის კანონიო. მინისტრმა ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

**დანიშვნა.**

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ყოფილი ტფილისის სისხლის მილიციის უფროსის თანაშემწე ნ. შელია დაინიშნა დუშეთის მაზრის კომისრად.

# მიწათ-მოქმედების სამინისტროში

**უცხოელ ქვეშევრდომების მიწები.**

ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობამ მოისმინა ცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროსი საქართველოში მომქმედ კანონისა უცხოელ ქვეშევრდომ კერძო მესაკუთრეთა მიწების ჩამორთმევის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: რადგანაც აგრარული კანონები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა არ გულისხმობს მას, რომ მიწები, რომელიც უცხოელებს ეკუთვნით გამორიცხულ იქნება იმ საერთო წესიდან, რომლის ძალითაც ყველა მესაკუთრეთა მამული ხდება საერთო სახელმწიფოს კუთვნილებათ, ამიტომ საქართველოს აგრარული კანონები ვრცელდება უცხოელთა მამულებზედაც.

**კომისიის გამგზავრება,**

ქუთაისს გაემგზავრა საგანგებო კომისია, ცენტრ. საადგილ მამულო გამგეობის წევრის მ. ქარ ივაძეს მეთაურობით, კომისიას დავალებული აქვს ანანოვის მამულის მიღება.

# გზათა სამინისტროში.

**არჩევნები.**

თანახმად გზათა სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობისა, დამთავრდა არჩევნები რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელ ორგანოთა წევრებისა, სადგურ უფლისციხიდან ტფილისამდე. თავმჯდომარედ ამ რაიონისა არჩეულ იქნა ილარიონ გეორგაძე, მის ამხანაგათ თეოფანე მეგრელიშვილი და ნესტორ ფარჯანაძე, მდივნათ კორიტინი, მის ამხანაგათ წითლიძე. თვის თანამდებობის პირდაპირ ასრულებიდან უნდა განთავისუფლებულ იქმნენ მხოლოდ თავმჯდომარე და მდივანი.

**დანიშვნა.**

გზათა მინისტრის ბრძანებით სამინისტროს სატეხნიკო რკინის გზათა განყოფილების უფროსი ინჟ. ე. ე. კრანცი განთავისუფლებულია ამ თანამდებობიდან და ასრულებს თანამდებობას შავი ზღვის სანაპირო რკინის გზაზე.

# სამხედრო სამინისტროში

**სამხედრო ჟურნალი**

სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს გამოსცეს ყოველკვირეული სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“. ჟურნალის უმთავრესი მიზანი იქნება ასწიოს გონებრივი განვითარება ჩვენს ჯარში, რათა სამხედრო ხელოვნების შესწავლასთან და ვარჯიშობასთან ერთად ჯარი არ დარჩეს მოკლებული ინტელექტუალურ ვარჯიშობასაც. ჟურნალი, რომელიც რესპუბლიკის ჯარის ორგანობას გასწევს, პოლიტიკის გარეშე იქნება, მას ექნება ორი განყოფილება: ოფიციალი, სადაც დაიბეჭდება რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებები სამხედრო უწყების მიმართ, სამხედრო ხარისხოსანთ შესახებ, ჯარების მიმართ და საზოგადოთ სახელმძღვანელო დებულებები, და არა ოფიციალი, სადაც რედაქცია ეცდება ისეთი საგულისხმო და ადვილად გასაგები ცნობები მოათავსოს მეცნიერების ყოველივე დარგიდან, რომელიც ჯარისკაცს დააინტერესებს და გაავითარებს.

# საქართველოს პარლამენტში

(მე-61 კრება).

სამშაბათი, 1918 წ. ნოემბრის 19.

კრება იხსნება ნაშუადღევის 1-ის ნახევარზე.

თავმჯდომარეობს ნიკოლოზ ჩხეიძე.

შ. ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი უდგენს პარლამენტს საბაჟო ტექსტებს პარლამენტის მიერ წინა კრებაზე მიღებულ კანონ-პროექტებისას.

მიღებულია საბაჟო ტექსტი: 1. სახაზინო პალატათა გაუქმებისა და გადასახადთა და ხაზინის სამმართველოს დაარსების კანონისა 2. სხვა და სხვა უწყების სკოლათა განათლების სამინისტროს უწყებაში გადასვლის კანონისა, 3. ორასი მილიონის ბონის გამოცემის, 4. პირველ დაწყებით სკოლების გახსნის, 5. გურიის უმაღლეს დაწყებითი სკოლებისათვის ერთდროულ დახმარების, 6. სააქციზო უწყების ორგანიზაციისა.

შემდეგ პარლამენტის წევრი ილ. კ ა კ ა ბ ა ძ ე უდგენს პარლამენტს საჩხერეში ცეცხლით დაზარალებულთა დახმარების კანონ-პროექტს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მან საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დავალებით, ადგილობრივ ინახულა დაზარალებულნი და მისი აზრით საკმაო იქნება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გადადებული 7 ათასი მანეთი 37 დაზარალებულ ოჯახისათვის.

გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი. მხარს უჭერს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დადგენილებას.

პარლამენტი უცვლელად იღებს კანონ-პროექტს.

პარლამენტი გადადის სამთო-სამმართველოს დაარსების კანონ-პროექტის განხილვაზე. მომხსენებელია ის. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

პარლამენტი იღებს ამ კანონ-პროექტსაც და გადადის სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმების კანონ-პროექტის განხილვაზე.

კანონ-პროექტის შესახებ მომხსენებლად გამოდის ლეონიძე.

ლ ე ო ნ ი ძ ე. სასკოლო განათლების კომისიის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტით უნდა გაუქმდეს ყველა ტიპის და საფეხურის სახელმწიფო და კერძო სკოლებში სამღვთო სჯულის სწავლება. ორატორი აღნიშნავს რომ ერთი გამონაკლისი არის დაშვებული კომისიის მიერ, სახელდობრ, რომ მაჰმადიანთა სკოლებში რჩება შარიათის სწავლება და მით მასწავლებლებს სახელმწიფო ინახავს თავის ხარჯზე.

განათლების მინისტრი გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი აღნიშნავს, რომ სამინისტროს და მთავრობას პრინციპიალურად არაფერი აქვს საწინააღმდეგო სასკოლო კომისიის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტისა, მაგრამ მისი დ მთავრობის აზრით, არც მაჰმადიანთა სკოლებში მყოფი შარიათის მასწავლებლები უნდა ინიშნებოდნენ.

დ ო ლ ი ძ ე (ს. დ.) აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სიხარულით ეგებება ამ კანონ-პროექტს. ორატორის აზრით, სალვთო სჯული ეს ცრუ-მორწმუნეობაა და რაც შეიძლება მალე უნდა განთავისუფლდეს ხალხი ამ ცრუ-მორწმუნეობისაგან, რომ უფრო თავისუფლად იბრძოლოს თავის მიზნების განხორციელებისათვის. ორატორი ფრაქციის სახელით მოითხოვს, რომ მაჰმადიანთა სკოლებშიც მოისპოს „რაღაც შარიათის სწავლება“.

კ. ა ბ ხ ა ზ ი (დამოუკ. პარ.) აღნიშნავს, რომ ჩვენი ხალხი ზნეობრივის მხრით სდგას მაღალ საფეხურზე რასაც მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს, ორატორი წინადადებას იძლევა, რომ მომავალში ჩვენ სკოლებში შემოღებულ იქმნას მორალის სწავლება.

შ. ქ ა რ უ მ ი ძ ე (დამოუკ. ერ. დემ.) აღნიშნავს, რომ მიუღებელია ეს კანონ-პროექტი, რადგან ეკლესია ჯერ არ გამოყოფილა სახელმწიფოსგან და თუ რამე ცვლილება არის საჭირო სალვთო სჯულის სწავლებაში, ეს შეიძლება მინდობოდა თვით ეკლესიას.

(გაგრძელება ხვალ)

# სულფი დროებითი ზავის პირობათა გამო

ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობათ: დროებითი ზავის პირობები დიდ საფრთხეში აგდებს და ემუქრება რეინის მარცხნით მდებარე ადგილების ეკონომიურ მდგომარეობას და მის დამოკიდებულობას გერმანიასთან. თუ დროებითი ზავის მკაცრი პირობები არ შემსუბუქდა, იმ შემთხვევაში იმის გამო, რომ რეინის მარცხენა ნაპირს მჭიდრო ეკონომიური კავშირი აქვს გერმანიასთან, ჩვენს არსებობას საფრთხე მოელის და შესაძლოა, რომ მშვიდობიანი განვითარება, რომელსაც უკვე დაადგა ჩვენი ხალხი, ისევ შესწყდეს. ამგვარათ ჩვენში ფეხს მოიკიდებს არასასურველი ბოლშევიზმი, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებისთვისაც საშიში იქნება. რომ ეს არ მოხდეს, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია დროებითი ზავის პირობათა შემსუბუქება და მათი შეცვლა პრაქტიკულათ განხორციელებისათვის შემდეგნაირათ: 1) პრინციპიალური თანხმობა, რომ ეკონომიური ურთიერთობა რეინის მარცხენა ნაპირის მთელ გერმანიასთან და საზღვარ-გარეთთან არ უნდა დაირღვეს სამხედრო ოკუპაციის დროსაც. 2) შემდეგ საყურადღებო მუხლების დეტალური განსაზღვრა: ა) რეინის მარცხენა ნაპირზე, ძველი იმპერიის ტერიტორიის საზღვრებში, ნახშირის და სპილენძის მადაროთა ექსპლოატაცია ძველი სახელით გერმანელ მესაკუთრეთა მიერ. ბ) ნახშირის და სპილენძის გაზიდვის უფლება რეინზე და მარჯვენა რეინის გერმანიაში. გ) რეინის სარგებლობა ტრანსპორტისთვის ძველ გერმანიის სახელმწიფოს საზღვრებში. დ) გემების თავისუფალი მიმოსვლა როტერდამსა და ზღვის ნაპირზე, ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვიდან გერმანიაში ნახშირის და სურსათის შემოსატანათ. ე) დათმობილ ადგილებში რკინის გზით თავისუფალი სარგებლობა. 3) რეინის მარცხენა მხრიდან სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებულთა ტყვეთ წაყვანის აკრძალვა, თუ გინდ ისინი სამხედრო ფორმას ატარებდენ. ზ) რეინის მარცხენა ნაპირზე სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებმა უნდა განაგრძონ მოქმედება. თ) დათმობილ ოლქებში შეიძლება საქონლის ჩამორთმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს იმ ოლქებში მყოფ ჯარისკაცთა დასაკმაყოფილებლათ. ი) რეინის მარჯვენა მხარეზე დაცლილ ადგილებში და ნეიტრალურ ქვეყნებში, ტელეფონის, ტელეგრაფის და ყოველგვარ საფოსტო საქმეების თავისუფლათ წარმოება და რეინის მარცხენა მხრიდან მარჯვენა მხარეზე ყოველგვარ სურსათის თავისუფლათ შემოზიდვა. კ) საბაჟო საზღვართ უნდა დარჩეს ძველი სახელმწიფოს საზღვარი ლიუკსენბურგით, რომელიც გერმანიის საბაჟო კავშირს ეკუთვნის.

# ფრანგული პრესის ცნობა

(საქ. დეპ. სააგ.)

**გემების ჩაბარება.**

გერმანია მოკავშირეებს შეეკითხა სად და როგორ ჩააბაროს თავისი წყალქვეშა ნავები, ჯავშნოსანი ფლოტი, როგორც იარაღის ასაყრელად, ისე დასაკავებლათ.

**ნაწილობრივი დემობილიზაცია.**

ამერიკის შეერთებულ შტატების სამხედრო მინისტრმა განკარგულება გასცა ნაწილობრივი დემობილიზაციის შესახებ.

**ფოსტა ბელგიაში**

ფოსტის მუშაობა მთელ ბელგიაში აღდგენილია.

**სტამბოლთან**

სტამბოლთან შეთანხმების სახელმწიფოთა ფლოტი სდგას.

**1914 წლის საზღვრამდე**

ოფიციალურ ცნობების მიხედვით 1914 წლის საზღვრებში არც ერთი გერმანელი ჯარის კაცი არ არის. ჩვენ დავიპყარით მარენბურგი, ფიუმე, ბუიონი, ლორენი, სედანი და შევდივართ მორმანუში, დეიზეში და მეტცის ფორტებში, ელზასში, ლედუანში, შორმეკში, სენ-მარიში კოლმასის შესავალთან შელგიტალდის მადაროებში და ენზიგეიმში. გენ. კირშაუერი მიულჰაუზენში შევიდა.

# ინგლისის პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

**კარლოსის გადადგომა.**

იმპერატორი კარლოსი უნგრეთის ტახტიდან გადადგა.

**ადმირალი ტერპიცი.**

„ფრანკფურტერ-ცეიტუნგ“-ს აუწყებენ, რომ ადმირალი ტერპიცი შვეიცარიაში გაიქცა.

**ქალაქი მოსსული.**

ოსმალეთის მთავრობამ უბრძანა მოსსულში მდგარ სამხედრო ძალთა უფროსს მიიღოს გენერალ მარშალის პირობები ქალაქის დაცლისა და მეციხოვნე ჯარის მიერ იარაღის დაყრის შესახებ.

ფიქრობენ, რომ მესოპატამიაში მყოფ გარნიზონების დანებებამ მშვიდობიანათ ჩაიარა.

### პირობების შესრულება.

დროებითი ზავის პირობების თანახმათ აღმოსავლეთ აფრიკაში 14 ნოემბ. კასნის სამხრეთით, მდინარე ჩამბეზიასთან, დავენებდა. გერმანელთა სამხედრო ძალა ფონ-ლიტევ-ფორშეკის მეთაურობით. კვირას მოკავშირეებმა დაიწყეს წინსვლა რეინისკენ. დილა ადრიანათ მცირე რაზმები მუსიკით და სიმღერით გზაზე გავიდნენ. ჯარმა დილის 9 საათზე გაიარა სადარაჯო პოსტები, რომლებიც დროებითი ზავის ხაზზე დგას. ფრანგებმა საზღვარი გადალახეს და ბელგიაში და დაპყრობილ პროვინციებში შევიდნენ. მოკავშირეთა მიწაწყალზე მოწინააღმდეგის არც ერთი ჯარისკაცი არ დარჩენილა.

## ძეგვის ხიდი

იუსტიციის სამინისტრომ სთხოვა გზათა სამინისტროს დაჩქარებით ასრულებულ იქნას ინჟ. ლოხნიცკის მიერ მოთხოვნილებანი საგანგებო საქმეთა სასამართლოს გამომძიებლის რუსანოვისა ძეგვის ხიდის გეგმის გამოგზავნის და ყველა იმ ცნობების მოწოდების შესახებ, რაც კი სჭირდებოდა ხსენებულ გამომძიებელს. სთხოვს აგრეთვე ბრძანება გასცეს ტფ. სადგურის უფროსისადმი, რათა დაუყონებლივ პასუხი მისცეს გამომძიებელს რუსანოვის შეკითხვაზე იმ ბილეთების რაოდენობის შესახებ, რომლებიც გაიყიდა № 3 მატარებელზე ტფილისიდან სადგურ ქსნამდე ოქტომბრის 31 ღამით და მიაწოდოს მასვე აგრეთვე სხვა ცნობები მის მიერ მოთხოვნილი.

## საექიმო-სასანიტარო საქმე

### ავადმყოფობა თელავში.

საერთო ავადმყოფობას ვერც თელავი გადურჩა. ეგრედ წოდებული „ისპანკა“ მთელ ქალაქშია მოდებული, ნამეტნავად ღარიბთა შორის.

სამწუხაროდ ავადმყოფობას ნიადაგი მდიდარი დახვდა—სიმშილობა, სიტიტვლე და სიცივე. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ამ მოარულმა ასეთი მასიური ხასიათი მიიღო და მსხვერპლთა რიცხვი ძლიერ დიდია. ყოველდღე 7—8 და ხშირად მეტ მიცვალებულებს ასაფლავებენ. მღვდლები ვეღარ ასდიან დასაფლავებას და წამ და უწუმ გაისმის საზარელი სამგლოვიარო ზარის ხმა.

ექიმები ვეღარ ასწრობენ ავადმყოფებთან სიარულს, ხოლო აფთიაქები (თელავში ორია) წამლების მომზადებას, ისე, რომ აქაც ჯერი გაიმართა. ჩვენდა სავალალოდ მცხოვრებთარი ციან როგორ ებრძოლონ, ან როგორ მოერიდნენ ამ საზარელ სენს, რომელმაც ბევრად გადააჭარბა ხოლერობის მსხვერპლს, როდესაც იგი მძვინვარებდა თელავში ამ რამდენიმე წლის წინედ.

საჭიროა ლექციების მოწყობა, საუბრების გამართვა, როგორც სასწავლებლებში, ისე ქალაქში—უბნეულად რომ განემარტოთ ახალ მოარულ ისპანკის ავადმყოფობის თვისებები და როგორ უნდა მოუარონ ავადმყოფებს. ეს კი უნდა იკისროს ქალაქის გამგეობამ და აქაურმა ექიმებმა.

დონ.

## ქალაქის გამგეობაში.

### დანიშვნა.

ქალაქის სკოლების ხელოვნების კლასების გამგის თანაშემწეთ ქალაქის გამგეობამ ნ. პ. ბანდიუქენკო დანიშნა.

—

სოლოლაკის მატინოვის სახელის სკოლაში ხელოვნების მასწავლებლათ ქალაქის გამგეობამ მ. გ. გალოშიანი დანიშნა.

### შემწეობა.

ნოვო-ტროიცკის სასწავლებლის გამგეთ ყოფილ ე. დ. ნუროვისას ქალაქის გამგეობამ 2135 მან. შემწეობა მისცა.

### გაკვეთილების განაწილება.

ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა გაკვეთილების ახალი განაწილება ქალთა პროფესიონალურ სასწავლებლების მასწავლებელთა შორის თანახმად ქალაქის სასწავლებლების საბჭოს გადაწყვეტილებისა.

### წევრთა რიცხვიდან გასვლა.

ქალაქის ხმოსანი ს. ს. არუთიუნოვი საბჭოდან გავიდა, რადგანაც იგი სომხეთში მინისტრად ამოირჩიეს. იმის ალაგას საბჭომ დაადგინა მიიწვიოს ჯეროვანი კანდიდატი პ. მ. დოლუხანოვი.

### საბიუჯეტო კომისიაში.

ქალაქის საბიუჯეტო საფინანსო კომისიის წევრათ ხმ. აუშტროვის ალაგას მიწვეულ იქმნა მ. ნ. სმირნოვი.

### ნ. ელიავა.

ავათმყოფი ქალაქის მოურავი ნ. ზ. ელიავა უკვე კარგად გახდა და გუშინ შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

### ქართული ენა.

ქალაქის მოურავმა ნ. ზ. ელიავამ გუშინ განმარტება მისცა ქალაქის გამგეობას და საბჭოს კანცელარიას, რომ ამიერიდან ყველა მის წინ წარმომადგელობა მთავრობისადმი და მიწერ-მოწერა სამინისტროებთან უსათუოთ ქართულ ენაზე იყოს დაწერილი და ამიტომ საწერ მანქანაზე მომუშავე-მოსამსახურეები შეცვლილი იქმნენ. გამგეობის სხვა განყოფილებაში საქმის წარმოება ჯერ რუსულ ენაზეა.

### სამძიმრისათვის დელეგაცია.

სომხეთის მინისტრის ხ. ი. კარჩიკიანის სიკვდილის გამო დაშნაკცაკანების საბჭოს ფრაქციამ ამოირჩია დელეგაცია განსვენებულის ოჯახის სამძიმრის გამოსაცხადებლათ. დელეგაციას შეადგენენ ხმოსნები გ. ა. ტერ-სტეფანოვი, მ. ნ. ზარგარიანი, ა. ს. იაგჯიანი და ი. ნ. ამირხანოვი. ამის გარდა ფრაქციამ დაადგინა ორი თავისი წევრი გაგზავნოს ერევანში ამხანაგის დასაფლავებაზე დასასწრებლათ.

### სესხი

მთავრობის თავმჯდომარემ გამოუცხადა ქალაქის საბჭოს დელეგაციის წინამძღოლს, გამგეობის წევრს ს. გ. ფირუმოვს, რომ მთავრობამ შეიწყნარა ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა 6 მილიონ მან. სესხად მიცემის შესახებ ქალაქის მოსამსახურეთა წლის ბოლომდე ჯამაგირების დასარიგებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ ჯამში ჩათვლილ იყოს ის $1^1/_2$ მილიონი, რომელიც ამ დღეებში ქალაქს მიეცა მილიციის ჯამაგირების დასარიგებლად. ამის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრს წინადადება აქვს მიცემული წარმოადგინოს კანონ-პროექტი პარლამენტში შესატანად.

### კოოპერატივში

კვირას, 17 ნოემბერს, „კრუჟოკის“ ბინაში შესდგა „ტფილისის კოოპერატივის“ წევრთა კრება. კრებამ დიდი კამათის შემდეგ ნდობა გამოუცხადა გამგეობას. გამგეობის წევრთა ჯამაგირი 500 მანეთამდე გაადიდეს და სარევიზიო კომისიის წევრთ თითოს 300 მ. თვეში დაუნიშნეს. გამგეობის წევრებად ამორჩეულ იქნენ ი. მ. გამელეი და ა. ნ. ოგანეზოვი. მესამე წევრი ვერ ამოირჩიეს. სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქნენ ბ-ნნი ზურაბიანცი და ტრეგუბოვი.

## სახელმწიფო თეატრი

### „სარწმუნოება“.

დიდი ხანია, რაც ტფილისის საზოგადოება უცდის ქართული სეზონის დაწყებას. ის დიდი მითქმა-მოთქმა, რომელიც მომავალ დასის გარშემო სწარმოებდა, ყურადღებას იპყრობდა. ლაპარაკი, რომ ბ. ჯაბადარს „სტუდია“ შეუქმნია, სცენაზე ახალგაზრდა ძალები გამოჰყავს და ახალი გზით მუშაობას იწყებს, დაუსრულებელი ხდებოდა და ბოლოს, როგორც იქნა, 18 ნოემბერს ტფილისის საზოგადოებამ იხილა ეს დასი.

ქართული წარმოდგენებით მოწყურებული საზოგადოება მიაწყდა სახელმწიფო თეატრს და წარმოდგენის დაწყებას მოუთმენლათ ელოდა.

დაიდგა ბრიეს პიესა: „სარწმუნოება“. ჩვენ გვიკვირს, თუ ბატ. ჯაბადარმა რათ აირჩია ეს პიესა, პიესა მეტათ მძიმე და ტლანქი თავის განვითარებაში, მოუხეშავი, გადაუბმელ-შეუკავშირებელი თავის სურათიანობაში. პიესის საბრძოლველი დედახაზია რელიგიური ბრძოლა და ეს ბრძოლა ისე მძიმეა, რომ ლოდივით აწვება, როგორც მხედველობას, ისე, მსმენელობას. მასიურ გამოსვლების და სცენების მიუხედავათ, რეზონიორობა პირდაპირ მომაბეზრებელია. არა გვგონია, ამ პიესის ავტორის სამშობლოში მას დიდი გასავალი ქონდეს, და მით უმეტეს მას ჩვენში ნაკლები ასპარეზი ექნება.

პიესის სარჩული ეგვიპტეს ცხოვრებიდანაა. კვანძია ბრძოლა ღმერთებისათვის და მათი შემწეობით მასაზე გაბატონებისათვის. ცხადია,—ეგვიპტური სტილი—კოლორიტი სავსებით და სრულობრივ დაცული უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ სახელმწიფო თეატრში დადგმული „სარწმუნოება“ მოიკოჭლებდა. რამდენათ პირველი სურათი წარმტაცი იყო, იმდენათ მეორე—სუსტია. საერთოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ რეჟისორს მარჯვეთ უსარგებლია სახაზინო თეატრის მასალით—დეკორაციით.

მსახიობების თამაში არ იყო უნაკლულო, მაგრამ... დასი, ზოგიერთის გამოკლებით, სრული ახალი შემადგენლობისაა, და სწორეთ ეს „მაგრამ“ აქ უნდა ვსთქვათ, რომ ახალმა ძალებმა გამოცდილებას გაუსწრეს პიესის შეგნებით და გაგებით. ახალი ძალები დაკვირვებით თავის ადგილზე იყვენ, საერთოდ. იმ დროს, როცა ბატ. ზარდალიშვილი (რეჰუ) ეგვიპტელ ქურუმის მაგივრათ, ჩვენებურათ მოითავადებდა, ბატ. იშხნელი (ფარაო) სპარსულათ მოისოლიმანებდა, და ორივე მაინც ტეხნიკაში ძლიერი იყვენ და საერთოდ კი—ახალი ძალები მთელი ღონით სცდილობდენ, რომ როლის ფარგლებში დარჩენილიყვენ და სცდილობდენ ეგვიპტური სახე დაეცვათ, მაგრამ ხშირათ ვერ აღწევდენ ამას. ქ-ნ. ქიქოძე (მეიერის) რელიგიურ ექსტაზში და ხილვის მისწრაფებაში ძლიერი და ხან მიუწდომელიც იყო, სიარულში, ფეხის ტეხნიკაში კი სუსტობდა.

საერთოდ ეგვიპტურში გადასვლა ბევრისთვის მიუწვდომელი და შორეული შეიქნა. ახალ ძალებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ქ-ბ. ვ. ანჯაფარიძე, რომელიც პლასტიკით და დიქციით მდიდარი აღმოჩნდა, ტეხნიკურათ კარგათ ფლობდა თავს და შესძლო რელიგიური ბრძოლის გამოხატვა და ექსტაზის გადმოცემა. ბატ. გელოვანის (სათნი) ნიჭსა და თამაშის შესაძლებლობას ვიცნობთ, მაგრამ არ მოველოდით, თუ ასე გვიმტყუნებდა. მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ ადგილას შესაფერისი იყო, საერთოდ სუსტ შთაბეჭდილებას ახდენდა, და ეს იმის ბრალია, რომ თავიდანვე სწორი ტონი ვერ აიღო და ბრძოლაში მოისუსტა. ბატ. ჯიქიას (ქურუმთ-ქურუმი) წარმოდგენა ჰქონია ქურუმთ-ქურუმზე. იგი სცდილობდა სავსებით დაეცვა ქურუმის სიდინჯე-სიბრძნე-სიცივე, მაგრამ სრულობლივ მან ეს ვერ შესძლო და ტეხნიკაშიც მოიკოჭლა. ბ. რეჟისორს ყურადღება უნდა მიექცია: მან კვერთხის ხელში დაკავება კარგათ არ იცის. ბატ. ცინაძე (პაქ) თავიდანვე შესაფერისად შეუდგა საქმეს და განსაკუთრებით რელიგიური ბრძოლის დროს სრულოვანი იყო. ბ. ჭიაურელი (მითიუ) თავიდან თავდაჭერილი და სწორი იყო. საერთოდ, მასსა სცენაზე კარგია. მართალია, საზოგადოებაზე ყვირილი-ხვეწნა მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ თვით პიესის ეს მოთხოვნილება თითქმის გასრულოვანებული იყო. აღუნიშვნელათ ვერ დავტოვებთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მუსიკა (სიმღერა პირველ მოქმედებაში) სიტყვას სცილდებოდა—შორდებოდა. უნდა მართალი ვსთქვათ: პიესა მეტათ რთული დასადგმელია და მძიმე შესასრულებელია. იგი ამასთანავე უცხოა ჩვენი სცენისათვის. მაგრამ დიდი სიძნელის მიუხედავათ საერთოდ და ზოგადათ პიესამ კარგათ ჩაიარა და მხოლოდ იმიტომ, რომ მაზე დახარჯულა ბევრი ენერგია და დიდი ცოდნა. ჩვენ ამ მხრივ ამასაც არ მოველოდით და სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთო მუშაობით და უნარით შესძლეს, რომ პიესა მშრალზე გამოეტანათ.

არა გვგონია, რომ ახალგაზდა ძალებისათვის ასეთი პიესიდან და როლებიდან მუშაობის დაწყება სასურველი და განმავითარებელი იყოს. ძნელად თუ ვინმე გაუძლებს. ვფიქრობ, რომ ბ. ჯაბადარი ამას ყურადღებას მიაქცევს.

მივესალმებით ახალ დასს და ვუსურვებთ წინმსვლელობას. იმედი გვაქვს, რომ ბ. ჯაბადარი შესაფერისი ხელმძღვანელობით ახალგაზდა ტალანტთ შესაფერ გზას მისცემს და მიზანშეწონილ მუშაობით მათ გაფურჩქნის.

ლიკსუსი.

## ქრონიკა

○ 19 ნოემბერს ღამით ლერმონტოვის ქუჩაზე № 5 ივ. აკოფიანცმა შუბით მოჰკლა კონსტ. სოფიანცი. მკვლელი დაატუსაღეს.

○ 19 ნოემბერს პეტრე დიდის ქუჩაზე დღისით საქც. საზოგადოების ინსპექტორ ჩხატარაიშვილის ბინაზე მის სახლში არ ყოფნის დროს, შევიდნენ ქურდები. როცა მათ 2 ჩემოდანით ნაპარი ნივთები გამოჰქონდათ, ბინის პატრონმა მოასწრო და მილიციონერების დახმარებით დააპატიმრა. ქურდები აღმოჩნდენ მ. მთვარიშვილი და ვ. ბრიაშვილი.

○ 19 ნოემბერს ფეიერვერკის ქუჩაზე ბოროტ-განმზრახველები თავს დაესხნენ და გაძარცვეს ვინმე ჩიტიანცი, რომელსაც 2500 მან წაართვეს.

○ მილიციის უფროსის განკარგულებით 3 თვით დააპატიმრეს სვეჩინი, როგორც საზოგადოებისთვის მავნე პირი.

○ როგორც გადმოგვცემენ კავკავიდან ტფილისისაკენ ფურგონებით მოემგზავრება 6000 ლტოლვილი სომეხი, სომხეთში წასასვლელად.

○ ჯამალიანის თხოვნით ამერიკელთა ობოლთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე ბუმანი ბაქოში გაემგზავრა.

○ სომხეთის მისიას ცნობა მოსვლია, ვითომც ინგლისის მისიამ წინადადება მისცა საქართველოს მთავრობას გაატაროს ბაქოდან დაბრუნებული ოსმალეთის ჯარი საქართველოზე.

○ დღეს, 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია სერ. ჟორჟოლიანისა: „პოლიტიკური ეკონომია“. ინჟ. ი. ალშიბაია „ელექტრონისა და ორთქლის ძალა“.

○ რედაქციამ მიიღო ახლად გამოცემული წიგნი „ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში“ ისტორიული მიმოხილვა ზ. ჭ—სა, ფასი 50 კ.

○ დღეს კლუბთან არსებ. ქარ. სახ. წარმ. მმართვ. წრე მართავს მორიგ წარმოდგენას, წარმოდგენილი იქნება გარდელის 4 მოქ. დრ. „გაწყვეტილი სიმი“. ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღ. სრულ 7 საათზე.

## ქუთაისი

○ ქუთაისის მაზრის კომისარმა განკარგულება დაუგზავნა ყველა რაიონის და ქალაქის კომისრებს, რომ მილიციონერები, რომელთაც ეხება სამხედრო სამსახური, თანახმად სამხედრო მინისტრის განკარგულებისა უნდა დათხოვნილნი იქნენ და გამოცხადდნენ სამხედრო უწყებაში.

○ ოზურგეთის მაზრის კომისარი ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ ვინაიდან ქალაქ ოზურგეთში ჯერ კიდევ არ დაარსებულა „ოზურგეთის საბაჟო“ და მისი დაარსება კი დიდად საჭირო არის, რადგანაც ხშირდება „კონდრაბანდის“ გატან—გამოტანა, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ სასწრაფოთ აღძრათ შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ ქალაქ ოზურგეთში დაჩქარებით გაიხსნას „ოზურგეთის საბაჟო“.

○ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწემ სროლისათვის დააპატიმრა ვინმე სოლონიკოვი.

○ 14 ნოემბერს, ქალაქის გამგეობისა და საბჭოს საფინანსო კომისიის სხდომამ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ მდგომარე წლის სექტემბრიდან ცხოვრება ქუთაისში არ გაიაფებულა საზოგადოთ, ამიტომ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებს ოქტომბრის თვეში მიეცეთ ისეთივე დამატებითი ჯილდო, როგორც მიიღეს მათ სექტემბერში.

○ სოფ. გუბში დაიჭირეს ცნობილი ყაჩაღი ტარასი ლოჩოშვილი და მოათავსეს ქუთაისის საგუბ. ციხეში.


განცხადებები

## ტფილისის სამოქალაქო საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

საზ. წესდ. § 73 თანახმად ამით აცხადებს, რომ 1918 წლის 21 დეკემბერს, დილის 11 საათზე, გამგეობის შენობაში საკუთარ სახლში, პუშკინის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაუმეორებლად უძრავი მამული ქვემოდ ჩამოთვლილ პირთა, მათ მიერ საზოგადოებიდან აღებულ სესხზე ხვედრი გადასახადის შემოუტანლობის გამო ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების წესდების §§ 11, 12 და 13 ძალით, გაიყიდება. ეს ვაჭრობა თუ უშედეგო იქნა, მეორედ და უკანასკნელად მოხდება 1918 წ. 28 დეკემბერს. იმ შემთხვევაში, თუ პირველი და მეორე ვაჭრობა ვერ დასრულდა 21 და 28 დეკემბერს 1918 წ., ვაჭრობა მოხდება შემდეგ დღეებში.

1305. ხიზანოვი კონსტანტინე (მეპ.) მიწის სამი ნაჭერი. 1-ლი ზომით 30 კვად. საჟენი, მეორე 56 კვად, საჟენი და მესამე 17 ოთხკ. საჟ., საზოგადოების ხუროთმოძღვარის აღწერით ეს ნაჭერები შეერთებულია და საერთო ზომითაა $93^1/_3$ კვად. საჟ. შენობით. მეხუთე უბ. ეხლა ნაროშენსკის ქუჩა და დოქტორსკი შესავალი (ზახარიევსკი) კაპ. ვალი 2475 მ. 4 კ. გადას. 1601 მან. 25 კაპ.

2001. გორელიშვილი შიმკონი. სამი ნაჭერი მიწისა, რომლიდანაც: ერთი ზომით სიგძეზე 6 საჟ. და სიგანეზე 3 საჟ. და მეოთხედი ადლი; მეორე სიგძეზე 17 და სამი მეოთხ. ადლ. და მესამე დაახლოვებით 25 კვად. საჟ. და საზოგადოების ხუროთმოძღვრების აღწერით მამული შესდგება ორ ცალკე ნაჭრებისაგან, რომლიდანაც ერთი ზომით $29^1/_2$ კვად. საჟ. შენობებით, და მეორე ზომით 36 ოთხკ. საჟ შენობებით. მეხუთე უბ. ტიომნი და შაპოჩნი რიადი. კაპ. ვალი 17479 მან. 35 კაპ. გადასახ. 2133 მან. 69 კ.

2152. კაზაროვი გევორკი და ავალოვი ლეონი. მიწის ნაჭერი ზომით 40 კვად. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება, შენობებით. მეშვიდე უბ. ვინნი პოდიომი. კაპ. ვალი 3496 მან. 94 კაპ. გადას. 736 მან. 39 კაპ.

2306. დონტ ეკატერინა, ივანე და იაკობი და კობცევა ეკატერინა. მიწა ზომით 97 კვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჟ. ერთსართულიანი სახლით და ორ ერთსართ. ფლიგელით: მეათე უბ. ანდრეევსკის ქ. კაპ. ვალი 4222 მ. 18 კ. გად. 1049 მ. 23 კ.

2480. ჩიქოვანი ზაქარია: მიწა 280 კვ. საჟ. და ხუროთმოძღვ. გაზომვით $236\frac{1}{2}$ კვ. საჟ. ორი ორ-ორი სართ. სახლით და ორი ორ-ორ სართ. ფლიგელით: პესკოვსკის ქუჩის კუთხე, № 95 და დესიმონოვსკის ქ. კაპ. ვალი 21772 მან. 7 კ. გად. 3353 მან. 89 კაპ.

2801. შაგუბატოვი ვალერიანე. მიწა ზომით 400,60 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება, 1 უბ. პროექტიროვანნი ქ., კაპ. ვალი 211 მან. 36 კაპ. გად. 17 მან. 5 კაპ.

2801-ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი პავლე. მიწის ნაჭერი, ზომით 300 კვ. საჟ. 1 უბ. პროექტიროვანნი შეს. კაპ. ვალი 211 მან 36 კაპ. გად. 17 მან. 5 კაპ.

2801-ბ. კაფიევი გაბრიელ. მიწის ნაჭერი, ზომით 450 კვ. საჟ. 1 უბ. პროექტიროვანნი ქ., კაპ. ვალი 211 მან. 36 კ. გად. 17 მ. 5 კ.

2870. სოგომონოვი ავაქი და შამირი. სამი ნაჭერი, ზომით $132\frac{1}{2}$ კვ. საჟ. და ხუროთმოძღვ. გაზომვით 190 კვ. საჟ. ორი სამ სართ. სახლით; მეხუთე უბ. ხლებნოი და გეორგიევსკის მოედნის კუთხეში და ფეთხაინის ქუჩა. კაპ. ვალი 35674 მ. 71 კ. გად. 9661 მ. 47 კ.

3271. არუთიუნოვი მელიქსეთი. მიწა ზომით 45 კვ. საჟ. და ხუროთმოძღვ. გამოზომით 26 და $^3/_{10}$ კვ. საჟ. სამ სართ. სახლით: მე-5 უბ. ფეთხაინის ქუჩა და პერეკრესტნი გადასახ. № 12, კაპ. ვალი 2726 მ. 74 კ. გადას. 524 მან. 29 კაპ.

3289. განდჟუმოვი გრიგოლი. მიწა 112 კვ საჟ. ორ სართ. სახლი მიშენებულებებით; უბ. კირპიჩნის (ეხლა ბელინსკის) ქ. კ. ვ. 5.686 მ. 46 კაპ. გად. 1.630 მ. 86 კაპ.

3402. ვარძელოვები სოლომონ, იოსებ, მიხეილ, ანნა, ნატალია, ელენა და ტერ-სტეპანოვები სტეფანე და ნატალია და სხვ. მემკვიდრენი გარდაცვალებულ კონსტანტინე ვარძელოვისა. მიწა ზომით 53 კვ. საჟ., და საზოგადოების ხუროთმოძღვარის აღწერით კი 89 კვ. საჟ. შენობებით. მე 3 უბ. ბებუთოვის ქ. და ბაღი შეს. კუთხე. კაპ. ვალი 4489 მ. 36 კ. გად. 347 მ. 38 კ.

3594. სოგომონოვი ავაკი. მიწა 181 კვ. საჟ., ან რამდენიც იქნება ერთ სართ. სახლით და ქვის სარაით; მე-8 უბ. პანასევიჩის ქ. კ. ვ. 5184 მ. 97 კ. გად. 1486 მ. 98 კაპ.

3696. ბერიაშვილი ევსტაფი, ილია და დარია. მიწა ზომით 36 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით, მე-2-ე უბ. დავიდოვის ქ. კ. ვალ. 539 მ. 93 კ. გად. 89 მ. 92 კ.

3884 და 3971. კაპანაკოვი: ალექსანდრე, ვასილი და ნინო. მიწა 435 კვ. საჟ., ან რამდენიც აღმოჩნდება, ორსართ. სახლით და 4 ფლიგელით: სამი სამ-სამ სართ. და ერთი ორ სართ. მე-3 უბ. ბებუთოვის და ვოზნესენსკის ქ. № 8. კაპ. ვ. 58775 მ. 7 კ. გად. 15360 მ. 29 კ.

3889. მელიქ-ნუბაროვი გრიგოლ, ტიგრან და თამარი. მიწა, ზომით 430 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით. მე-10 უბ. კიროჩნის და ველიკოკნიაზის ქ. კუთხე კაპ. ვალ. 23534 მ. 77 კ. გად. 2384 მ. 40 კ.

3893. ივანოვა ანნა. მიწა, ზომით 78 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით. მე-10 უბ. შერემეტიევის ქ. კაპ. ვალი 1682 მ. 92 კ. გად. 381 მ. 62 კ.

4276. სპარსელი პრინცესა გეოგარ-მირზა. მიწა, ზომით 102 საჟ. და 6 არშ. კვ. ან რამდენიც იქნება, სამსართ. სახლით, სარდაფით, ორსართ. ფლიგელით და საჩეხ.; მე-4 უბ. სოლომონოვის ქ. კ. ვ. 12299 მან. 8 კაპ. გად. 841 მ. 59 კ.

4382. ანანიევა ეკატერინა, აკიმოვა მარიამ და ზუბალოვა ნატალია. მიწის ნაჭერი. ზომით 130 $^1/_4$ კვ. საჟ. შენობებით. მე-5 უბ. მალაია გრიაზნაია ქ. (ოკოევის ქ.). კაპ. ვალი 4610 მ. 43 კ. გად. 575 მ. 20 კ.

4445. პაპაშვილი დავითი. მიწა, ზომით 100 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება; მე-5 უბ. მირზოევსკის და სეიდაბადსკის ქ. კ. ვ. 4235 მ. 37 კაპ. გად. 652 მ. 27 კ.

4593. ბაისოგოლოვი ვასილი. მიწა, ზომით 202, 15 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით. მე-3 უბ. სოლოლაკის და ფრეილინის ქ. კუთხე კაპ. ვალ. 86408 მ. 34 კ. გად. 4870 მ. 76 კ.

4610. ენიკოლოლოვი ბეგანი (მემკ.) მიწა, ზომით 120 კვ. საჟ, ან რამდენიც აღმოჩნდება, სამსართ. სახლით, სარდაფებით, ორი სამსართ. ფლიგელით; მე-2 უბ. არტილერიის ქ. კ. ვ. 20847 მ. 53 კ. გად. 3613 მ. 06 კ.

4971. ონანოვა ვარვარა. მიწის ორი ნაჭერი, რომლიდანაც ერთი 67 კვ. საჟ. და მეორე 148 კვ. საჟ., საზ. ხუროთმოძ. აღწერით კი ერთი ნაჭ. მიწისა ზომითაა 238 კვ. საჟ. შენობებით, მე-10 უბ. გოგოლევსკის და ფეიერვერსკის ქ. კუთხე. კაპ. ვალი 57366 მ. 9 კ. გად. 2099 მ. 27 კ.

5618. კაზაროვა კლავდია. მიწა, ზომით 110 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება ორი ერთსართ. სახლით, სარდაფებით და ამგვარივე ფლიგელით. მე-9 უბ. ნიკოლაევსკის და რეუტოვსკის ქ. კუთხეში. კ. ვ. 19265 მ. 52 კ. გად. 3383 მ. 97 კაპ.

6271. ტერ-გაზაროვი სერგეი. მიწის ორი მომიჯნავე ნაჭერი, ზომით პირველი 334 საჟ. და $8\frac{1}{2}$ არშ. კვ., მეორე—40.50 კვ. საჟ., საზოგ. ხუროთმ. აღწერით ერთი ნაჭერი მიწისა, ზომით 380 კვ. საჟ. უშენობოთ. მე-3 უბ. პეტრე დიდის ქუჩა. კაპ. ვალი 47511 მ. 38 კაპ. გად. 3407 მ. 44 კაპ.

6333. შაუმოვი: ელისაბედი, კონსტანტინე, შუშანიკა, ნიკოლოზი, ოვანესი, მარგალიტა და არმენუი. მიწა, ზომით 730 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება, სამ სართ. სახლით, სარდაფით, ერთი სამ სართ. და სამი ერთ სართ. ფლიგელით. მე-10 უბ. ჩერქეზოვის და მილიუტინსკის ქ. კუთხეში კ. ვ. 159.705 მან. 34 კ. გად. 12.426 მ. 86 კაპ.

6462. სიმონოვი სერგი და ესაიანცი ამბარცუმი. სამი ნაჭერი მიწისა: ერთი, ზომით 787 კვ. საჟ. და სხვა ორი მომიჯნავე საერთო ზომით 520,5 კვ. საჟ., საზოგად. ხურ. აღწერით მიწის ერთი ნაჭერი, ზომით სულ 1859,27 კვ. საჟ. შენობებით. მე-4 უბ. ანჩისხატის ქ. კაპ. ვალ. 212.973 მ. 48 კ. გად. 12·968 მ. 49 კ.

6593. კარბელოვა მარიამ. მიწის ნაჭერი ზომით 110 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით. მე-9 უბ. კიროჩნისა და ნიკოლაევის ქ. კ. ვ. 39384 მ. 88 კ. გად. 1349 მ. 67 კ.

6623. ნესმაშნიი ივანე. მიწის ნაჭერი, ზომით 300 კვ. საჟ., საზ. ხუროთმ. აღწ., ზომით 241 კვ. საჟ. შენობებით. მე-5 უბ. ვორონცოვის ქ. კ. ვ. 8861 მ. 60 კ. გად. 308 მან. 39 კაპ.

6627. ხვთისიაშვილი ვლადიმერ და ხელაშვილი ლუკა. მიწა, ზომით 167,20 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობით. მე-9 უბ. ალექსანდროვსკის ქ. კაპ. ვალ. 11.815 მ. 46 კაპ. გად. 414 მ. 48 კ.

6635. გაბაევი ნიკოლოზ. ნაჭერი, ზომით 108,23 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება შენობებით. პირ. უბ. მატინოვსკის ქ. კ. ვ. 19.692 მან. 44 კ. გად. 744 მ.

6638. ნაზაროვი ნაზარ. მიწა, ზომით 254 კვ. საჟ. ან რამდენიც აღმოჩდება შენობებით. მე-12 უბ. ფოთის ქ. კაპ. ვალ. 34.461 მ. 77 კ. გად. 1.350 მ. 29 კ.

6639. პრედეინი სერგეი. მიწა, ზომით 260 კვ. საჟ., საზ. ხუროთმ. აღწ. კი 160,65 კვ. საჟ. შენობებიტ. მე-8 უბ. 19 თებერვლის ქ. კაპ. ვალ. 17.723 მ. 19 კ. გად. 668 მ. 84 კ.

6697. მჭედლოვი ივანე და ანნა. მიწა, ზომით 120 კვ. საჟ., საზ. ხურ. აღწ. კი 58 კვ. საჟ. შენობებით. მე-4-ე უბ. აბას-აბატსკის შეს. კაპ. ვ. 7424 მ. კ. გად. 264 მ. 82 კ.

ვაჭრობა დაიწყება ზემოაღნიშნულ ვალის და გადასახად ხვედრი ფულის დამატებით საერთო ჯამით; ამასთანავე მამულზე შერიცხული საქალაქო გადასახადი, აგრეთვე საერობო, სახელმწიფო და სახაზინო გადასახადების შეტანა მყიდველთა ვალდებულება იქნება. საზოგადოებისადმი კაპიტალური ვალი შეიძლება გასწორდეს საზოგადოების ობლიგაციებით შესაფერათ სესხზე მათი ნომინალურ ღირებულების მანეთი მანეთზე, აგრეთვე შეიძლება გადავიდეს მყიდველებზე, სასწრაფო გადასახადი და სხვა გადაუხდელი კი გასწორდება ნაღდ ფულზე.

წესდების § 73 თანახმათ, ვაჭრობის დაწყებამდე მოვალეს უფლება ეძლევა შეიტანოს გადაუხდელი ფული პროცენტებითა ვადის გასვლისათვის და ყველა გასავალი, რომელიც დასჭირდა მამულის ვაჭრობაში დანიშვნას და ამით გაანთავისუფლოს მამული გაყიდვისაგან.

ყველა ქაღალდი საბუთი, რომელიც ეხება გასაყიდელ მამულს მსურველთ შეუძლიათ განიხილონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები და ამბავი ვაჭრობის პირობათა შესახებ საზოგადოების გამგეობაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე, კვირა და ტაბელის დღეების გარდა.

3—3

---

შმერი ორლიკის ძე ლურიე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციის მმართველობიდან 1917 წ. დეკემბრის 2. 1058 3—1

---

დამზღვევი საზოგადოება „როსია“ აცხადებს, რომ დაზღვევის ბარათები (პოლისები) № 318396 და 341709 მიცემული 1913 წ. ივლისის 18 და 1915 წ. აპრილის 28 ილარიონ სისოს ძე გულუას სახელზე, დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება, 1056 3—1

---

დიანოზ ფეტვიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც იყო პირადობის მოწმობა, თოფის ტარების ნებართვა, I რაიონის პარტიული მოწმობა და სხვა და სხვა საბუთები, რომლებიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1049. 3—2

---

სამსონ კალანდაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული სახალხო გვარდიის შტაბიდან იარაღის ტარების შესახებ, პირადობის მოწმობა და მატარებლის ბილეთი. მპოვნელს სთხოვს მიუტანოს საქონლის სადგურის მუშათა კონტორაში. 1038 3—3

---

ალექსანდრე იასონის ძე ღურბელეიშვილი ქუთაისის გუბერნიის, ეწრის საზოგადოების მცხოვრები აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ერთი წლის ვადით მიცემული პასპორტი. № 475. 1060 1—1

---

ლიდია პეტრეს ასული რენეიბუშ აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა პეტროგრადში მოწყალე დათა კურსების დამთავრებისა, მოწმობა სალიკვიდაციო ფულის მიღებას, უვადო პასპორტი, მიღებული მიტავის სამმართველოდან 1914 წ. და სხვ. საბუთები. 1051 3—1

---

ნაფიცი ვექილი იოსებ ივანეს ძე კარაევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დროებითი მოწმობა ტფილის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა, რომ ამ საზოგადოებიდან მიღებული აქვს მას 5% ობლიგაციები 6000 მან. თანხისა კუპონებით № 263. 1035 3—1

---

კავკასიის ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ფულის შენახვის ბილეთი № 74707. 12600 მ. 23 იანვარს 1918 წ. მიცემული მისდამი ელისაბედ იოსების ასულ ენიკოლოფოვაზე— დაკარგულია. თუ ზემო აღნიშნული ბილეთი ერთი წლის ვადაში უკანასკნელ გამოცხადებიდანვინმემ არ წარმოადგინა ბანკში, იგი ჩაითვლება გაუქმებულად. 2—2

---

კავკასიის ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ 10.000 მან. შესანახი ბარათი 1917 წ. ოქტომბრის 20 მიცემული მისდამი გიორგი ბესარიონის ძე ბეწუკლიშვილზე, დაიკარგა თუ ერთი წლის განმავლობაში უკანასკნელ განცხადებიდან ზემო აღნიშნული ბილეთი ვინმემ არ წარმოადგინა ბანკში, იგი გაუქმებულად ჩაითვლება. 564. 2—2

---

კავკასიის უწმიდესი და უმართებულესი სინოდის კონტორა აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 6-ს იქ შეიტანა თხოვნა სოფიო ალექსის ასულმა ტარადინამ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, პიროგოვის ქ. № 9, მის ქმართან ლევ ანტონის ძე ტარადინთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ დაწერილი არიან 1895 წ. თებერვლის 2 სოფ. ნიჟნიგრეკოვოში (დონის ოლქი). მთხოვნელის, ტარადინას განცხადებით ლევ ტარადინი არა სჩანს 1911 წლიდან. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ტარადინი, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კონტორას ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 1008 1—1.

---

## მიწათ-მოქმედების სამინისტრო

აცხადებს, რომ ორშაბათს, 1918 წ. დეკემბრის 16-ს, სამინისტროს ბინაზე (პეტრე-დიდის ქ., № 22) დილის 10 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა ტფილისის გუბერნიაში შემდეგი ტყეების გაჩეხისა და შეშის დამზადების უფლებაზე: 1. მანგლისში მე-30, 40, 41 43, 44, 48, 51, 55 და 57, აღბულაღის ტყეების უბნებში, 800 კუბ. საჟ. 2. გავაზის—ალაზნის იქით მდებარე ტყეთა ქვემო ნაწილი—3000 კუბ. საჟ.

**გორის უბნის ტყეები.**

3. სურამი-კაკალაანთ ხევის—3 დეს. 34 „დულიაცკი“ № 6 ან № 39-დე, 1108 ოთხკ საჟ. 4. ალის—„დუკის გზის“ უბანში 2180 ოთხკ. საჟ.

**ყარაიაზის ტყეები.**

5. ალიხან-აგაჯი—20 კუბ. საჟ. 6. შიხლინის—320 კუბ. საჟ. 7. სალოგლინის—180 კუბ. საჟ. 8. ჭერემის რაიონი, სადგ. გურჯაანის ახლო—200 კუბ. საჟ.

**თელავის უბნის ტყეები.**

9. თელავის—140 კუბ. საჟ. 10. ზემოხოდაშენის—400 კუბ. საჟ. 11. ვანთის, ბუშათის და ურიათუბანის, სად. ვაჩნაძიანის მახლობლად—500 კუბ. საჟ. 12. შაგადახის—65 კუბ. საჟ.

**შულავერის ტყეები.**

13. ხუდაბაკირის—75 კუბ. საჟ. 14. შულავერის—180 კუბ. საჟ. 15. დარბაზის—100 კუბ. საჟ. 16. ახკეპრინის—150 კუბ. საჟ. 17. შინიხის—800 კუბ. საჟ.

**ყოფილი კერძო მფლობელობის ტყეები:**

18. ვანტა, სად. ვაჩნაძიანის დასავლეთით—260 კუბ. საჟ. 19. ხოჟორნი, ბორჩალოს მაზრა—200 ოთხკ. საჟ.

**მარტყოფ-იორის ტყეები.**

20. სავარეჯოს—200 კუბ. საჟ. 21. მარტყოფის 64 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-640. 23. ჟადის—100 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-500. 24. ნასომხარ—საცხენისის—81 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-405. 25. ხაშმის—102 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-510. 26. მანავის—202 ჯგუფი დანომრილი ხეები № 1-1010. 27. პატარძეულ-ბერთუბანის „თოხლიანთ მთის“ უბ. 7 დეს. 28. კორუხის, „ტყის თავის“ უბანში 6 დეს. 60 ოთხკ. საჟენი.

**ქუთაისის გუბერნიის ყოფილ კერძო მფლობელობის ტყეები**

29. ფარცხნალის, ყოფილი სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის—260 კუბ. საჟ. 30. ფარცხნალის, ყოფილი იზიუმსკების—107 კუბ. საჟ. 31. ბაღდადის, ყოფილი მაჭავარიანების და სხ.—60 კუბ. საჟ. 32. გუდათ უბანის, ყოფილი გუდაძეების და სხ.—45 კუბიკური საჟენი. 33. ვახანის 2, ყოფილი ამირეჯიბის—160 კუბიკური საჟენი. 34. ჩიბათის, ყოფილი ერაპონის ჭყონიას და სხვ. 400 კუბიკური საჟენი. 35. ჩოჩხათის, ყოფ. ჯამბაკურ-გურიელის მემკვიდრეებისა და სხვ. 120 კუბ. საჟ. 36. სააბაშიო, ყოფ. ა. ზ. მადატოვის 100 კუბ. საჟ. იმავე რიცხვში, იქვე მოხდება ვაჭრობა შემდეგ ტყეებში უკვე დამზადებულ შეშისა. 37. ჯიმითო-კაკაბეთის და ჭერემის—500 კუბ. საჟ. 38. შინიხის—65 კუბ. საჟ. ტყის გაჩეხის, შეშის დამზადების და გადატანის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილებაში (პეტრე დიდის ქ. № 22) 12—3 საათამდე. 957 3—1

---

## საქართველოს რესპუბლიკის სააქციზო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ საძველო კვიტანციები, რომელნიც იყვნენ მიცემულნი აღნიშნულ სამმართველოსაგან— ფირმა „დ. ზ. სარაჯევ“-ისთვის შემდეგი № № 11,564, 14,390, 27,619, 27,620, 27,621, 27,622, 27,623, 27,624, 27,625, 27,626 27,627, 27,628, 27,629, 27,630, 27,631, 27,632 და 15,622—100 მანეთიანები, და № 30,124—1000 მანეთიანი, სულ ორი ათას შვიდასი (2,700 მ.) მანეთისა და რომელნიც ფირმა „დ. ზ. სარაჯივს“ დაუკარგავს ითვლებიან უვარგისად. 956 3—3

---

## საქართველოს რესპუბლიკის არსენალი

ამით აცხადებს, რომ 20 ნოემბერს, 1918 წ. დღის 11 საათზე,

**დანიშნულია აუქციონი**

საქართველოს არსენალში გასასყიდათ სამი ცხენისა. ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება მართებული კომიტეტის სამდივნოში ყოველ დღე 9—3 საათამდე. 944 3—3

---

## ცენტრალური სასურსათო საბჭო

**(ყოფილი სასურსათო სამინისტრო)**

მადათოვის ქ. № 3, ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვალი მარილი დაწესებულ ფასებში. მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ფოთში. 952 12—6

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.